



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27212432

თარიღი:31/08/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №64

31 აგვისტო 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №52 განკარგულებაში „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №52 განკარგულებაში „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“.

1. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოწონებულ იქნეს „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ა) საქალაქთაშორისო დანიშნულების ავტოსადგურის და პარკინგის მოწყობა, თელავის, როგორც რეგიონის სატრანსპორტო ჰაბის განვითარებისთვის;
- ბ) ქ. თელავში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის და საგზაო უსაფრთხოების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ურბანული ტერიტორიების განვითარებისთვის;
- გ) ქ. თელავში ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება, ქალაქის კულტურული და საგანმანათლებლო როლის გაძლიერებისთვის;
- დ) ქ. თელავში არსებული ისტორიული მნიშვნელობის წყაროების რეაბილიტაცია, ქალაქის კულტურულ-ისტორიული არეალის განვითარებისთვის;
- ე) ცენტრალური თელავის ისტორიული დასახლების ურბანული განახლება;
- ვ) სამეფო აბანოების და მისი მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეაბილიტაცია;
- ზ) ერეკლე მეორის სკვერის და საზარბაზნე ბურჯის რეაბილიტაცია ქ. თელავის მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული არეალის წარმოსაჩენად;
- თ) მეფის სასახლის და ციხე-გალავნის კომპლექსის შიდა ტერიტორიის ურბანული განახლება, თემატური ინსტალაციების მოწყობით;

- ი) ქ. თელავის შემოსასვლელებში ისტორიული სატახტო ქალაქისთვის დამახასიათებელი თემატური ინსტალაციების მოწყობა ქალაქის, როგორც ისტორიულ-კულტურული ცენტრის წარმოსაჩენად;
- კ) ქ. თელავში ურბანულ ტერიტორიებზე საზოგადოებრივი დანიშნულების სველი წერტილების მოწყობა;
- ლ) ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ურბანული ტერიტორიის ოპტიმიზაციის მიზნით და არსებულ ლოკაციაზე ახალი მიწოდულობის არეალის შექმნა;
- მ) რეგიონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქ. თელავში ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია და საინფორმაციო დაფების მოწყობა;
- ნ) საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნისა და რეკრეაციული სივრცეების მოწყობა;
- ო) საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე რეგიონული ჩოგბურთის კორტების მოდერნიზება ოთხივე სეზონზე ფუნქციონირებისთვის;
- პ) ქ. თელავში რეგიონული მნიშვნელობის მრავალფუნქციური სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ინტეგრირებული აქტივობებისთვის;
- ჟ) ქ. თელავში, პარკი „ნადიკვარის“ ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა რეგიონული ფუნქციის გასაძლიერებლად;
- რ) ქ. თელავში, ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ხევის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცეების მოწყობით;
- ს) ქ. თელავში „მინიატურების პარკის“ მოწყობა რეგიონული მნიშვნელობის კულტურული მიზიდულობის არეალის შესაქმნელად;

ტ) ქალაქ თელავის აღმოსავლეთ ნაწილის ურბანული განახლება „მშვიდობის პარკის“ მოწყობით;

უ) საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედანის, რეკრეაციული სივრცეების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა;

ფ) საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციურ ობიექტებთან მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობა.“.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

